საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1704/01
13/02/2020

1704-01-2-202002131325

შპს „ბაგოს“
მის: ქ. თბილისი, თემქა III მ/რ, IV კვ.,
კორ 66, ბ 10

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2019 წლის 17 იანვრის №649 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გარდაბნისა და რუსთავის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე 8 კმ სიგრძის გაზსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ ვინაიდან გაზსადენის კლასიფიცირება ხდება მუშა წნევის მიხედვით, როგორც დაბალი წნევის ასევე, მაღალი წნევის გაზსადენად, შესაბამისად სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს, რომელი ტიპის გაზსადენს მიეკუთვნება (მუშა წნევით-მგპა) წარმოდგენილი საპროექტო გაზსადენი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში გაზსადენის მშენებლობითა და ექსპლუატაციით მოსალოდნელი გარემოზე ზემოქმედების აღწერაში სხვადასხვა ზემოქმედებები განხილულია საწარმოს საქმიანობაზე და არა გაზსადენის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე. ვინაიდან, პროექტით გათვალისწინებულია გაზსადენის მშენებლობა და ექსპლუატაცია გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედება განხილული უნდა იყოს საქმიანობის შესაბამისად;
- განცხადებით ირკვევა, რომ გაზსადენი კვეთს სხვა ხაზობრივ ნაგებობებს, შესაბამისად, სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობების მფლობელებთან შეთანხმების შესახებ;
- ვინაიდან, დაგეგმილია ნავთობის თანმხლები ბუნებრივი გაზის მიწოდება საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის კუთვნილ მაგისტრალურ გაზსადენში, წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის მიზანი და საჭიროების დასაბუთება;

- სკრინინგის განცხადებას თან უნდა ერთვოდეს გაზსადენის Shp ფაილები მიწისზედა და მიწისქვეშა მონაკვეთების მითითებით;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს მიწისქვეშა გაზსადენის განთავსებისთვის რა სიგანის თხრილების მოწყობა იგეგმება;
- სკრინინგის განცხადებაში ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი მიწის ნაყოფიერი ფენისა და გრუნტის სავარაუდო მოცულობების შესახებ;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამშენებლო დერეფნიდან უახლოესი სახლი დაშორებულია 50 მეტრით, წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი სამშენებლო დერეფნიდან დაშორებულია 22 მეტრით, აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებით წარმოდგენილი Shp ფაილების გადამოწმებით დადგინდა, რომ საპროექტო დერეფნის გარკვეული (მცირე) ნაწილი დაფარულია ხე-მცენარეებით, დაზუსტებას საჭიროებს იგეგმება თუ არა პროექტის განხორციელების ეტაპზე აღნიშნულ ხე-მცენარეებზე რაიმე სახის ზემოქმედება;
- დაზუსტებას საჭიროებს ინფორმაცია გაზსადენის მშენებლობის დროს წარმოქმნილი ნარჩენების შესახებ მათი სახეობების და რაოდენობის მითითებით.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც შპს „ბაგო“ უზრუნველყოფს განახლებული სკრინინგის განცხადების სამინისტროში წარმოდგენას ზემოაღნიშნული საკითხების გათვალისწინებით.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე